

ბლოკურად სტრუქტურირებული ბადის გახშირება წრფივი ადვექციის
განტოლებისათვის
ანა დოლიძე

ნაშრომი ეხება მულტისქემას ოთხკუთხა ბადეზე წრფივი ადვექციის განტოლებისათვის. რიცხვითი ნაკადის გამოსათვლელად გამოყენებულია სასრულ მოცულობათა მეთოდი პირველი და მაღალი რიგის სქემებით. რიცხვითი ნაკადისათვის გამოყენებულია slope და flux ლიმიტერები. აგებულია ერთგვაროვანი და ბლოკურად სტრუქტურირებული გახშირებული ბადეები, რომელიც იცვლის მდებარეობას დროში ამოცანდან გამომდინარე. ჩამოყალიბებულია მულტისქემის ალგორითმი ამ ბადეებზე რიცხვითი ნაკადების კომბინაციით. დროში იტერებისათვის გამოყენებულია: ეილერის ცხადი და მე-4 რიგის SSP სქემები. ყოველივე ამას თან ახლავს პროგრამული უზრუნველყოფა და ტესტირების შედეგები.